განათლების როლი სიღარიბის დაძლევაში

მეგი გორგასლიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ქეთო შონია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული სპეციალისტი

THE ROLE OF EDUCATION IN POVERTY ALLEVIATION

Megi Gorgaslidze
Associate Professor,
Akaki Tsereteli State University
Keto Shonia
invited specialist,
Akaki Tsereteli State University

ABSTRACT

Many socio-economic factors affect people's living standards, the most special of which is education. Access to education is the benchmark from which the level of development of a country is calculated.

The role of the state in overcoming poverty and raising the standard of living is undefined. To perform this function, the standard of living of the population should be systematically analyzed and, therefore, the direction of an effective socio-economic policy should be developed. The market economy cannot independently provide support for different social strata, therefore the social differentiation in the society is getting stronger. In addition to the lack of means of livelihood, there are material and monetary barriers for poor people in acquiring knowledge.

It is very important for human development to have such an education system that will help him: in making choices based on life opportunities, in overcoming poverty, and increasing competitiveness, both in his own country and internationally.

Key words: education, intellectual capital, standard of living, Poverty, economic system.

საკვანძო სიტყვები: განათლება, ინტელექტუალური კაპიტალი, ცხოვრების დონე, სიღარიბე, ეკონომიკური სისტემა**.**

* * * *

ადამიანების ცხოვრების დონეზე მრავალი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი მოქმედებს, რომელთაგან ყველაზე განსაკუთრებული არის განათლება. განათლებისადმი წვდომა არის ის ნიშნული, საიდანაც ითვლიან ქვეყნის განვითარების დონეს.

განუსაზღვრელია სახელმწიფოს როლი სიღარიბის დაძლევასა და ცხოვრების დონის ამაღლებაში. ამ ფუნქციის შესრულებისათვის, სისტემატურად უნდა ხდებოდეს მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზი და აქედან გამომდინარე, ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულების შემუშავება. საბაზრო ეკონომიკა დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფს სხვადასხვა სოციალური ფენებისათვის დამხარებას, ამიტომ ძლიერდება სოციალური დიფერენცია საზოგადოებაში. საარსებო საშუალებების დანაკლისის გარდა, ღარიბი ადამიანებისათვის არსებობს მატერიალურ-ფულადი ბარიერები ცოდნის მიღებაში.

ადამიანთა სოციალური, ფიზიკური და ინტელექტუალური მოთხოვნების დაკმაყოფილების დონე განსაზღვრავს მათი ცხოვრების ხარისხსაც. განათლება ის ძალაა, რაც ადამიანებს მნიშვნელოვნად ეხმარება რთული მდგომარეობიდან გამოსვლაში.

ადამიანის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი განათლების სისტემა, რომელიც მას დაეხმარება: არჩევანის გაკეთებაში ცხოვრებისეული შესაძლებლობებიდან, სიღარიბის დაძლევაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებიდან გამომდინარე, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე საერთაშორისო მასშტაბით. განათლებულ სამუშაო ძალას წინ ელოდება დიდი წარმატებული მომავალი, სადაც მოხდება პიროვნების მაქსიმალური თვითრეალიზება.

პრობლემის ერთი მხარეა, განათლების ასეთი დიდი მნიშვნელობა სიღარიბის დაძლევაში.ხოლო მეორე მხარე არის განათლების მიღების შესაძლებლობების ზღვარი პიროვნებისათვის.

ეკონომიკის განვითარების პოტენციურ ფაქტორად, ადამიანური კაპიტალი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გვევლინება. ეს დაკავშირებულია ინოვაციების სწრაფი ათვისების უნართან და შრომისნაყოფიერების ამაღლებასთან.ადამიანების განათლების მაღალი დონე არ უკავშირდება ეკონომიკის განვითარების დონეს და სარგებელს მხოლოდ მაშინ იძლევა, როდესაც ხდება ამ დაგროვილი ცოდნის რაციონალური გამოყენება.ეს კი არის დამოკიდებული ქვეყნის სამეურნეო სისტემაზე. საბაზრო ეკონომიკა უფრო მეტდ შედეგიანია, ვიდრე ეკონომიკის სხვა სისტემები, რამდენადაც არსე-

ბობს მოთხოვნა მაღალი დონის განათლებულ ადამიანურ კაპიტალზე.

განათლების მიღებაზე წვდომა ძალიან აქტუალური საკითხია და მასზე არაერთი თეორიული ეკონომიკური შეხედულებები არსებობს. განვითარებული ქვეყნები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მთელს მსოფლიოში, როგორც ეკონომიკურ სიტუაციას, ასევე მათ ეკუთვნით პრიორიტეტი განათლების მიღების მხრივ. განვითარებადი ქვეყნებისათვის კი ეს დიდი პრობლემაა. მიუხედვად იმისა, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა მოიპოვეს პოლიტიკური თავისუფლება, ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება ასე ადვილი არ აღმოჩნდა. ასეთი ქვეყნები მთელი ძალისხმევით ცდილობენ, თავი დააღწიონ პრობლემებს და აქ გამოსავალი, სიღარიბის და განვითარებაში ჩამორჩენის დასაძლევად, ნამდვილად არის განათლების სრულყოფა, რაზედაც იქნება დამოკიდებული საკუთარი ეროვნული მეურნეობის წარმატება. თუმცა განვითარებადი ქვეყნებისათვის წარმატებების მიღწევა ამ გზაზე შეფერხებულია იმიტომ, რომ ღარიბები არიან. სიღარიბის მიზეზი კი არის კაპიტალი, განსაკუთრებით, ინტელექტუალური კაპიტალის სიძვირე. ე.ი. ეს ქვეყნები ე.წ. , , სიღატაკის მოჯადოებულ წრეში'' იმოფებიან: სრულყოფილ განათლებას ვერ იღებენ ინტელექტუალური კაპიტალის სიმცირის გამო, ვერ ვითარდებიან.ამ გასაოცარი წრის გარღვევა ადვილი არ არის.სწორედ, განათლებაში ჩადებული კაპიტალის სიმწირე, იწვევს ასეთ ჩამორჩენილობას მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებასთან შედარებით. პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს, ღარიბი ქვეყნებიდან ადამიანური რესურსების მასობრივი მიგრაცია, მასთან ერთად ინტელექტუალური კაპიტალის გაბნევა , , ტვინების გადინება'', რაც დიდი ხნით იწვევს რეგრესს ქვეყნების განვითარებაში.

ქვეყნების განვითარების დონის დახასიათებისათვის აუცილებელია შესწავლილი იქნეს ამ ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონე და ცხოვრების ხარისხი, ჯანდაცვისა და განათლებისადმი წვდომის ხარისხი, სიცოცხლის ხანგრძლივობა, სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონე და ხარისხი. ეკონომიკური ზრდა და პოლიტიკური სიტუაცია ქვეყანაში, ეკოლოგიური პირობები, პიროვნების თავისუფლება და ა.შ.ცხოვრების ხარისხის დასადგენად, ამ მაჩვენებლების გაანგარიშება ხდება ერთ სულ მოსახლეზე.

ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, ეკონომიკური ზრდა ასევე მოიცავს სოციალურ-კულტურული ღირებულებების მატებას ქვეყანაში, სადაც აუცილებელია არსებობდეს მოქნილი ფისკალური პოლიტიკა, რეფორმების სრულყოფილი და თანაბარი განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას, მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

განათლება ეკონომიკურ ზრდაზე დიდ გავლენას ახდენს, ეკონომიკური ზრდა კი ამცირებს სიღარიბეს ქვეყანაში. კონკრეტულად გამოკვლეულია ის ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ მოქმედებს ამ პროცესზე, როგორიცაა ინვესტიციების დადებითი როლი ტექნოლოგიების განვითარებაში, შრომის ნაყოფიერების ზრდაში, მუშაკთა პროდუქტიულობის ამაღლებაში, ახალი, ინოვაციური ცოდნის შექმნაში.

დიდ ინტერესს იწვევს განათლების ეკონომიკაზე გავლენის გაზომვა. ეს ცდები გასულ საუკუნეში ძალიან პოპულარული იყო. ერთმანეთს შეადარეს ქვეყნებში განათლების სასკოლო სწავლების წლების მიხედვით ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები. ცნობილი გახდა, რომ ერთი დამატებითი განათლების წლიდან, ამონაგები 10 %-ზე მაღალია. ეს რიცხვი განსხვავდება ქვეყნების განვითარების დონის მიხედვით - ყველაზე მაღალი არის დაბალშემოსავლიან ქვეყნებში, ხოლო ყველაზე დაბალი კი მაღალშემოსავლიან ქვეყნებში.

განსაკუთრებით საინტერესოა სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორების, ჰანუშეკისა და უოსმენის მიერ შემუშავებული ახალი მეთოდი განათლების ხარისხისა და ეკონომიკური ზდრის შედარებისათვის.განათლების ხარისხს ზომავენ TIMS და PISA ტესტებით. ამ აღმოჩენამ შესაძლებელი გახადა დაედგინათ, რომ მაღალი ტესტის შედეგები აისახებოდა ეკონომიკური ზრდით მშპ-ს პროცენტებში.

კვლევის შემდგომ ეტაპზე, ჰანუშეკიმ და უოსმენიმ ერთმანეთს შეადარეს 50 ქვეყნის მონაცემები 1960-2000 წლების მიხედვით და უფრო ზუსტად შეძლეს, დაენახათ კორელაცია განათლების ზრდასა და და ეკონომიკურ ზრდას შორის.

აღსანიშნავია, რომ TIMS ტესტების მიხედვით, საქართველოში 2012 წლისათვის მეტად არასასურველი შედეგები დაფიქსირდა სასკოლო სწავლების დონის მიხედვით, რაც შემდგომ წლებში გაცილებით გაუმჯობესდა. თაანამედროვე სწავლების ხარისხი შედარებით გასაუმჯობესებელია, თუმცა ძალიან დიდ ადგილს იკავებს თანამედროვე სასწავლო პროცესში , , რეპეტიტორების ინსტიტუტი'', რაც მეტად არასასურველია და აუცილებელია სკოლას დაუბრუნდეს თავისი ავტორიტეტი განათლების სისტემაში.

საქართველოსათვის განათლება ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილია დასაქმებული. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკონომიკის ამ დარგზე მწირი დაფინასებაა განსაზღვრული. სასურველია გაიზარდოს ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები განათლებაზე, რაც სიღარიბის დაძლევის პრობლემის მოგვარების მნიშვნელოვანი ბერკეტი იქნება.

გამართული განათლების სისტემა იძლევა სა-

შუალებას ქვეყანაში მომრავლდეს მაღალკონკურენტული სპეციალისტები თანამედროვე ინოვაციური ეკონომიკისათვის. ამისათვის საჭიროა შესაბამისი სამეცნიერო კადრებისა და კვლევითი ინსტიტუტების არსებობა და ამ კვლევების დაფინანსება შემდგომი კომერციალიზაციის მიზნით.

ცნობილი მეცნიერის, მაიკლ პორტერის აზრით, , , ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მაღალტექნოლოგიური დარგები, რომლებიც ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენენ, მემკვიდრეობით კი არ ღებულობენ, არამედ ქმნიან წარმოების ისეთ უმნიშვნელოვნეს ფაქტორებს, როგორიცაა კვალიფიციური ადამიანისეული რესურსები და სამეცნიერო ბაზა.. კონკურენტულ უპირატესობას აღწევენ მაშინ, როდესაც აქვთ მსოფლიო დონის სამეცნიერო ინსტიტუტები. ისინი ჯერ ამზადებენ სპეციალიზებულ კადრებს და შემდეგ მუდმივად მუშაობენ მათ განახლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე".

განათლების სისტემის გამართული მუშაობა მრავალ ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორიცაა: ქვეყანაში მაღალი დონის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების არსებობა, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა, დაფინანსების უზრუნველყოფა, კონკურენტული ბიზნესგარემოს არსებობა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა. აუცილებელია შეირჩეს განათლების დაფინანსების მოხერხებული მოდელი, დაიხვეწოს პროფესიული სწავლების მეთოდები და მუდმივად უნდა არსებობდეს მონიტორინგი სახელმწიფოს მხრიდან დარგში არსებულ პრობლემებზე.

თნამედროვე მსოფლიო ტენდენციები ისე წარიმართა, რომ ბოლო 30 წლის გამავლობაში სახეზეა ცხოვრების ხარისხის დაცემის ტენდენცია და შესაბამისად, ჰუმანური განვითარების ინდექსი მსოფლიოს ქვეყნების 90 %-ში ეცემა. ეს ინდექსი მოიცავს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობას, განათლებისა და ცოდნის დონეს. ასევე ადამიანთა ეკონომიკურ კეთილდღეობას. მრავალი წლების განმავლობაში ეს მაჩვენებლები უმჯობესდებოდა, თუმცა ბოლო დროს მსოფლიოს მასშტაბით შეიმჩნევა მათი გაუარესება. ეს ყველაფერი უკავშირდება გადატანილ კოვიდ პანდემიას, უკრაინისა და რუსეთის ომს და კლიმატის ცვლილებების გავლენას.

საქართველოს რეიტინგი 2022 წლის შედეგებით, 2021 წელთან შედარებით ინოვაციების გლობალური ინდექსის მიხედვით 11 პოზიციით გაუარესდა 63-ე ადგილიდან 74-ე ადგილზე გადაინაცვლა. ამ მდგომარეობის გაუმჯობესება მოითხოვს დიდ ძალისხმევას ჩვენი ქვეყანაში, რისთვისაც აუცილებელია ქმედითი ღონისძიებების გატარება, რომელთაც შედეგად უნდა მოჰყვეს სიღარიბის დონის დაძლევა - ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდს ამ გზაზე წარმოადგენს განათლების სისტემის სრულყოფა მისი თანხვდენით მსოფლიოში აპრობირებულ გამოცდილებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მესხია ი.,გაბელაშვილი კ. „მოსახლეობის ცხოვრების დონე."თ.2004.გვ.17

2. აბესაძე რ. „მოსახლეობის ცხოვრების დონის და სიღარიბის ზოგიერთი ასპექტი." პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ.111,თბ. 2010,გვ.5

3.საქართველოს ეკონომიკა, მონოგრაფია,მთავარი რედაქტორი როზეტა ასათიანი. ფირმა „სიახლე", 2012 წ. გვ.287

4.https://idfi.ge › georgia_i
საქართველო ინოვაციების გლობალურ ინდექსში

5. https://formulanews.ge › News

6.GBC.GE
https://www.gbc.ge › statistic

7.https://edu.aris.ge › news › ge.
განათლება და ეკონომიკური ზრდა

8. https://www.mof.ge,News.

9. Porter M.Competitive Advantage of nations. Harvard businens Review,No 90211.